საქართველოს საგარეო ვაჭრობის გაუმჯობესების პერსპექტივები covid 19 პანდემის პირობებში

ხათუნა ბერიშვილი
ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
მარიამ ღულუნიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრი

გლობალიზაციის განვითარებასთან ერთად სულ უფრო იზრდება საერთაშორისო ვაჭრობის სფერო და მასში ჩართული ქვეყნების რიცხვიც. ნებისმიერ სახელმწიფოში ეკონომიკის კონკურენტული მექანიზმის შექმნა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო მაღალ დონეზე დაკმაყოფილების უზრუნველყოფა შეუძლებელია საერთაშორისო ვაჭრობის გარეშე.

საერთაშორისო ვაჭრობა გულისხმობს საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის მიმოცვლას ქვეყნებს შორის. მისი გავლენა განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებზე არაერთგვაროვანია. საქართველოს ეკონომიკისთვის არსებითი მნიშვნელობა გააჩნია მსოფლიო ვაჭრობის განვითარებას covid-19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის პირობებში. წინამდებარე ნაშრომის ძირითად მიზანს შეადგენს საქართველოს საგარეო ვაჭრობის ზოგადი ტენდენციებისა და განვითარების პერსპექტივის ანალიზი covid 19 პანდემის პირობებში.

საკვანძო სიტყვები. *საგარეო ვაჭრობა, გლობალიზაცია, სავაჭრო უთანასწორობები, პანდემია, დაძლევის გზები.*

თანამედროვეობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას საერთაშორისო ვაჭრობის განვიათარება და მისი მეცნიერულ დონეზე შესწავლა წარმოადგენს. გლობალური ეკონომიკური სისტემისა და სახელმწიფოებზე საერთაშორისო სავაჭრო პროცესების ზეგავლენის პრობლემის კვლევას მიეძღვნა მრავალი მეცნიერ-ეკონომისტის ნაშრომი. გლობალიზაციის პირობებში, მსოფლიოს ქვეყნები, ერთმანეთთან მჭიდრო ინტეგრაციულ კავშირში იმყოფებიან, რაც განსაზღვრავს მათი ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივას. ამ ურთიერთობების გაღრმავების სწორი და გააზრებული პოლიტიკა, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის საწინდარია. საგარეო ვაჭრობის მეცნიერული შესწავლა გლობალიზაციის პირობებში უფრო მნიშვნელოვანი ხდება. გლობალიზაცია შეუქცევადი პროცესია, რომელსაც, თან ახლავს მსოფლიო ეკონომიკის განვითარება, ეროვნული ეკონომიკების ურთიერთდამოკიდებულების ზრდა და მსოფლიო სასაქონლო და საფინანსო ბაზრების ინტეგრაცია. მსოფლიო სავაჭრო სისტემის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ ცალკეულ ქვეყნებს არ შეუძლიათ აწარმოონ ის საქონელი და მომსახურება, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს. გამომდინარე იქიდან, რომ იზრდება ტრანსეროვნული კომპანიების რიცხვი და გეოგრაფიული მასშტაბები, მნიშვნელოვანი ხდება მათი მონაწილეობაც მსოფლიო რეპროდუქციის პროცესში. შიდა ბაზრები უფრო და უფრო მჭიდრო კავშირში შედიან გლობალურ ბაზრებთან. საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ თითოეულ ქვეყანას უწევს მსოფლიოში მიმდინარე ტენდენციების სწორი და ადეკვატური აღქმა.

1. საგარეო ვაჭრობის განვითარების მსოფლიო პერსპექტივები და საქართველოს რეალობა

საქართველოსთვის, ისევე როგორც მსოფლიოსთვის, საგარეო ვაჭრობის დადებით სალდოს გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია ეკონომიკური დისბალანსის აღმოფხვრისა და ლარის კურსის სტაბილიზაციისათვის. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საექსპო-

რტო პოტენციალის ზრდა და ზოგადად ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარების სტიმულირება.

ეკონომიკური პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოსთვის საერთაშორისო ბიზნესში ჩაბმა უდიდესი შესაძლებლობაა, რაც ქვეყნისათვის ქმნის დინამიურად განვითარებადი, სწრაფად მზარდი ტემპის მიღწევის შესაძლებლობას. 2021 წლის მონაცემებით საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 3928,7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB) 1198,7 მილიონ აშშ დოლარს შადგენდა, ხოლო იმპორტი (CIF) 2730,0 მლნ აშშ დოლარს. საგარეო ვაჭრობის სალდო ისევე როგორც წინა წელს უარყოფითი იყო და -1531,3 მლნ აშშ დოლარი დაფიქსირდა, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით (-4688,4) 3157,1 მლნ აშშ დოლარით არის შემცირებული. [economy.ge-საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო].

საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის ზოგად ტენდენციას ასახავს გრაფიკი №1 , სადაც ასახულია 2016-2021 წლებში ამ პროცესის მიმდინარე დინამიკა. გრაფიკიდან ჩანს, რომ 2021 წლის პირველადი მონაცემების მიხედვით, ექსპორტის მოცულობა 224,4 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო იმპორტისა კი 538,1 მლნ აშშ დოლარს. აღნიშნულ წელს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა -313,6 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. მოცემულ დინამიკაზე დაყრდნობით, აღსანიშნავია, რომ იმპორტის ყველაზე მაღალი ნიშნული 2020 წელს დაფიქსირდა, ექსპორტის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იყო 2016 წელს, ხოლო უარყოფითმა სავაჭრო სალდომ რეკორდულ მაჩვენებელს 2018 წელს მიაღწია. [geostat.ge]

გრაფიკი 1



	2016	2017	2018	2019	2020	2021
სალდო	-54.4	-47.7	-46.4	-44.8	-41.3	-41.1
იმპორტი	77.2	73.8	73.2	72.4	70.7	70.6
ექსპორტი	22.8	26.2	26.8	27.6	29.3	29.4

წყარო: www. geostat.ge

გრაფიკი №2-ზე ასახულია საგარეო ვაჭრობის წილის პროცენტული მაჩვენებლები მთლიან ბრუნვაში. 2016-2021 წლის მონაცემებით ექსპორტის უმნიშვნელო ზრდაა დაფიქსირებული, რაც შეეხება იმპორტს 2020 წელთან მიმართებაში, აქ მცირედი კლება შეინიშნება, რომელიც შეადგენს 0,2%. შესაბამისად საგარეო ვაჭრობის სალდოც 0,5%-იან სხვაობას აჩვენებს წინა წელთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო სავაჭრო სალდოს ყველაზე კარგი მაჩვენებელი 2021 წელს დაფიქსირდა და ის შეადგენდა -41,1%, რაც მოცემულ პერიოდში გულისხმობს ექსპორტის მოცულობის ზრდას იმპორტთან შედარებით. უარყოფითი სავაჭრო სალდოს ყველაზე მაღალი მაჩვენებლი დაფიქსირდა 2016 წელს, რომლის მნიშვნელობამ შეადგინა -54,4%, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოცემულ პერიოდში ექსპორტის მინიმალური მოცულობა იყო დაფიქსირებული, ხოლო იმპორტის შესაბამისი მაჩვენებელი 77%-ია.

გრაფიკი 2



წყარო: www. geostat.ge

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყანა დღეისათვის კვლავ იმპორტდამოკიდებულია. აქედან გამომდინარე, იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა, რომლებთანაც საქართველოს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობები გააჩნია, პირდაპირპროპორციულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა. შესაბამისად, დღეს მსოფლიოში არსებული ეკონომიკური კოლაფსი ერთ-ერთი ყველაზე დიდი შემაფერხებელი ფაქტორია საგარეო ვაჭრობის დადებითი დინამიკის შესანარჩუნებლად. იმპორტზე დამოკიდებულება თავის მხრივ, ქვეყანას უარყოფითი სავაჭრო ბალანსის საშიშროების წინაშე აყენებს, რაც კიდევ ერთი ფაქტორი და ნიშანია იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო სავაჭრო პოტენციალი მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნებისას. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში ექსპორტის წახალისების ღონისძიებების არ არსებობის გამო პოტენციურ საექსპორტო ბაზრებს არ მიეწოდებათ ქართული პროდუქტების შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, ექსპორტისათვის საჭირო ლოჯისტიკური პროცესები, რიგ შემთხვევაში ხარვეზებით მიმდინარეობს, ამით იზრდება ექსპორტირების ხარჯები, რაც აისახება პროდუქციის ფასზეც.

2021 წლის სასაქონლო პოზიციებში პირველი ადგილი ექსპორტის კუთხით უჭირავს სპილენძის მადნებსა და კონცენტრანტებს, რომელიც 149708,3 ათასი აშშ დოლარის ღირებულებისაა და პროცენტულად სხვა სასაქონლო ჯგუფებთან მიმართებაში 22,1% შეადგენს. [Economy.ge საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.]

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს თითქმის ყველა მეზობელ ქვეყანასთან მუდმივად აქვს უარყოფითი სავაჭრო სალდოს მაღალი მაჩვენებელი, თუმცა არსებობს ამ პრობლემების დაძლევის გზებიც გრძელვადიან პერიოდში. კერძოდ კი, იმპორტის ჩანაცვლების სტრატეგია, რომელიც მრავალი ქვეყნის მაგალითზე დაკვირვებით, შეიძლება ითქვას რომ ეფექტიანი აღმოჩნდა. მოცემული სტრატეგია ეროვნული ბაზრის და-

ცვისა და ეკონომიკური ზრდის გარანტიას იძლევა. სწორედ ამგვარ სტრატეგიას იყენებდა ჩინეთი, როდესაც ის ასტიმულირებდა ექსპორტს სხვადასხვა ღონისძიებებით, კერძოდ კი დაბალი გადასახადებით, კრედიტებითა და სხვა. [ჩინეთის ეკონომიკური სასწაულის 7 მიზეზი. [2018წ. Commersant.ge]

2. კოვიდ 19 -ის პირობებში საქართველოს საგარეო ვაჭრობის განვითარების პერსპექტივების კვლევა

კოვიდ 19 - ის გავრცელებამ მთელი მსოფლიო დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა. პანდემიამ არა მხოლოდ ადამიანების ყოველდღიურობა, არამედ ეროვნული და საგარეო ბიზნეს სფეროც შეცვალა. ჩვენს მიერ ჩატარებული რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის შედეგად გამოვლინდა ის პრობლემები, რომელსაც ექსპორტიორი კომპანიები აწყდებიან კოვიდ-19-ის პირობებში და კრიზისის გამოწვევებზე საქართველოში მოღვაწე კომპანიების დამოკიდებულება. რესპოდენტთა გამოკითხვის მაჩვენებლების განაწილება კომპანიების ზომის მიხედვით მოცემულია დაიგრამა 1-ზე.

დიაგრამა 1. გამოკითხული კომპანიების განაწილება ზომის მიხედვით, პროცენტულად



მე-2 დიაგრამაზე მოცემულია კომპანიების ბაზარზე მოღვაწეობის ხანგრძლივობის მაჩვენებლები. გამოკითხულ კომპანიათა უმეტესობა- 53% 1დან 5 წლამდე პერიოდია რაც მოღვაწეობს ქართულ ბაზარზე და ეწევა პროდუქციისა და მომსახურების ექსპორტს. რაც შეეხება ახლად დაარსებულ კომპანიებს, რომლებმაც მხოლოდ 1 წელია დაიწყეს ფუნქციონირება, მათი ხვედრითი წილი 24% შეადგენს. 5-10 წლის კომპანიები გამოკითხულთაგან 17% შეადგენდა, ხოლო ყველაზე ხანდაზმული კომპანიები, რომელთა გამოცდილება 10 წელზე მეტს ითვლის- 6%.

დიაგრამა 2. გამოკითხული კომპანიების განაწილება ბაზარზე მოღვაწეობის ხანგრძლივობის მიხედვით, პროცენტულად



დიაგრამა 3. გამოკითხული კომპანიების პასუხები მათ ბიზნესზე კოვიდ 19 პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის გავლენის შესახებ



აღსანიშნავია, რომ გამოკითხულ კომპანიათა უმეტესობას-98% გააქვს ექსპორტზე საკუთარი პროდუქცია/მომსახურება. და კომპანიათა 96%-ის აზრით მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც გამოწვეულია კოვიდ 19 პანდემიით, უარყოფითი გავლენა იქონია მათ ბიზნესზე.

დიაგრამა 4. გამოკითხული კომპანიების პასუხები მათ ბიზნესზე კოვიდ 19 პანდემიით გამოწვეული სირთულეების შესახებ



პანდემიით გამოწვეული სირთულეების შემდგომ კომპანიათა ნაწილი იმდენად რთულ ვითარებაში ჩავარდა, რომ კვლავწარმოებისა და საკუთარი ხარჯების დაფინანსების წყაროს მოძიება კომპანიის გარეთ დასჭირდა.

შემდეგი, მე-5 დიაგრამა გვიჩვენებს, ვის მიმართეს დაზარალებულმა კომპანიებმა დახმარებისთვის და რა შედეგები მიიღეს.



დიაგრამა 5. გამოკითხული კომპანიების პასუხები მათი ბიზნესისთვის კოვიდ 19 პანდემიით გამოწვეული სირთულეების დასაძლევად აღმოჩენილი დახმარების შესახებ

ზემოთ წარმოდგენილი კვლევა სრულად ვერ ასახავს ფაქტორების იმ ნუსხას, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოში საერთაშორისო ვაჭრობის შემაფერხებელ ფაქტორებსა თუ გაუმჯობესების პირობებს. ჩვენს ქვეყანაში და მსოფლიოში დღეს არსებული გამოწვევების გათვალისწინებით ამ ფაქტორთა ნუსხა გაცილებით ვრცელია.

საერთაშორისო ვაჭრობა, მისი ჩამოყალიბების ეტაპიდან დღემდე სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი ფორმაა, შესაბამისად იზრდება სხვადასხვა ქვეყნების კონცენტრაციისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხი. ის ხელს უწყობს ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას და ეს პროცესი სისტემური ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული ერთი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა შესაბამის ზეგავლენას ახდენს სხვა ქვეყნებზე.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკის ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ Covid 19 პანდემიის პერიოდში საქართველოში სავაჭრო დეფიციტი კვლავაც ღრმავდება, რაც საქართველოს ექსპორტსა და იმპორტს შორის არსებულ სხვაობაზე მიუთითებს. შესაბამისად, აღინიშნება საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდო და ზეგავლენა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

ლიტერატურა:

1. ბერიშვილი ხ. 2018 „საერთაშორისო ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა. თბ, გამომც.„უნივერსალი"
2. Berishvili Kh. 2020. Implementation of the concept of business social responsibility in the political systems of social democracy. "World economy and international economic relations" Vol. III
3. Berishvili Kh. 2021. Peculiarities of Agrotourism Development in Highlands of Georgia "World economy and international economic relations" Vol. IV
4. Berishvili Kh. 2021. METHODOLOGY OF SOCIAL ENTREPRENEURSHIP RESEARCH AND ITS INFLUENCE ON COUNTRIES WITH SMALL ECONOMY
   Pages 181 – 190 INTERNATIONAL JOURNAL OF SOCIAL AND HUMANITIES SCIENCES (berlin, Germani).
5. Berishvili Kh. 2014. Possibilities for Mastering The Foreign Trade Potentials In Georgia. Georgian International Journal of Science, Technology and Medicine 6 (4), p. 277
6. Kemp, Murray C. (1962), "The Gain from International Trade", Economic Journal, 72, 803-819.
7. Shengelia T. Berishvili Kh. 2014. Evaluation of the global position of Georgia and its role in the development of business. Georgian International Journal of Science, Technology and Medicine 6 (1), 57
8. Shengelia T. Berishvili Kh. 2014. The Role of Institutional Reforms in the Improvement of the Georgian Investment Environment
9. Shengelia T. 2020. Export potential of Georgia. World economy and international economic relations 3, 29-33
10. https://eu4georgia.ge/ka/eu-and-georgia/
11. file:///C:/Users/thes/Desktop/Papava_Tapladze_EconomicModelsoftheEUandGeorgia_Geo.pdf
12. http://bbi.ge/uploads/training_25.pdf
13. https://www.statista.com - Global No1 Business Data Platform
14. http://bbi.ge/uploads/training_25.pdf
15. https://www.Geostat.ge
16. http://www.economy.ge/index.php?page=home

Perspectives of Improving Georgia's Foreign Trade under the Covid-19

Khatuna Berishvili
Doctor of Economics, Associated professor of Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Mariam Gugunishvili
Master of Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

Since the formation of iternational trade, it has been the most important form of economic relations between different countries. Consequently, the degree of concentration and economic integration of different countries increases. It contributes to the deepening of relations between countries, and this process has systemic nature, which means that the economic situation of one country that is involved in international trade has a corresponding impact on the other countries.

Based on the analysis of the dynamics of Georgia's foreign trade, it was found that during the Covid 19 pandemic, the trade deficit in the country is deepening, that indicates the differences between Georgia's exports and imports. Consequently, the negative balance of foreign trade is noted and as well, the impact of the covid-19 on the country's economic development is negative.